შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 15 აგვისტოს №90 ხელშეკრულებაზე

ქ. თბილისი, 01 სექტემბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით და მეორე მხრივ სს ,,სილქნეტი" წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და სს ,,სილქნეტს" შორის 2017 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №90 ხელშეკრულების დანართში განხორციელდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართის შესაბამისად.

**2.** წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და სს ,,სილქნეტი" შორის 2017 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №90 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**3.** შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და შესაბამისად მხარეებს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

მხარეთა ხელმოწერა:

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

_______________ დავით ტყემალაძე

სს ,,სილქნეტი"

_______________ ნუგზარ ჩინჩალაძე

დანართი N1

ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების (P2P) სატარიფო გეგმა
(ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით)

თარიღი 01 სექტემბერი, 2017 წელი

| N | მომსახურების მიწოდების მისამართი | ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი (ლარში) | სიჩქარე | სერვისის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | სააბონენტო ანგარიშის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა N67 | 500 | ლოკალი 100 მბ/წმ<br>გლობალი 10 მბ/წმ<br>ჰოსტინგ მომსახურება<br>პაკეტი Custom | **OI32401028** | **7961** |

| ტექნიკური მოწყობილობები | |
|---|---|
| ოპტიკური მედია კონვერტორი (100 მბ) ☐ | მოწყობილობით დროებით სარგებლობის საფასური გათვალისწინებულია ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელში |

| კომპანიის კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას/დაუბრუნებლობისას ხელშეკრულების/დანართის გაფორმების მომენტისთვის აბონენტზე დარიცხული ტექნიკური საშუალებების სარეალიზაციო ღირებულება | |
|---|---|
| მოწყობილობის დასახელება | ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება |
| ოპტიკური მედია კონვერტორი (100 მბ) ☐ | 250 |

**მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი**

1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.
2. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე;
3. ინსტალაციის ერთჯერადი საფასურის გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახდელთან ერთად.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:

1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
2. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება.
3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება წყდება.
4. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების დაფარვის პირობით.
5. თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ოპტიკური სილქ ინტერნეტ ან/და VOIP სატელეფონო/სილქ ტვ მომსახურება, ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტისას იგი არ არის ვალდებული დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.
6. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მომსახურების საფასურის გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის არასტანდარტული პირობები:

1.

| კომპანია | აბონენტი |
|---|---|
| სს „სილქნეტი“ | სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო |
| ს/კ: 204566978 | ს/კ: 200162224 |
| კომერციული დირექტორი: ნუგზარ ჩინჩალაძე | გენერალური დირექტორი: დავით ტყემალაძე |
| (უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა) | (უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა) |